

საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია

სტუდენტური თვითმმართველობა

მსოფლიოს წამყვან

უნივერსიტეტებში



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2014

გამოცემულია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

© საქართველოს ახალგაზრდა
კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია, 2014

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2014

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-442-3

სარჩევი

შესავალი	4
1. მსოფლიოს წამყვანი 5 ქვეყნის რეგულაციები სტუდენტურ თვითმმართველობასთან დაკავშირებით	5
1.1 .ა.შ.შ.	6
1.2. დიდი ბრიტანეთი	8
1.3. კანადა	11
1.4. შვეიცარია	12
1.5. გერმანია	13
2. მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების შიდა რეგულაციები სტუდენტურ თვითმმართველობებთან დაკავშირებით	15
2.1. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი	15
2.2. შვეიცარიის ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტი ციურიხი	18
2.3. სტენფორდის უნივერსიტეტი	18
2.4. კემბრიჯის უნივერსიტეტი	23
2.5. ტორონტოს უნივერსიტეტი	26
2.6. კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი	29
2.7. ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი	31
2.8. ჰარვარდის უნივერსიტეტი	34
დასკვნა	37
გამოყენებული მასალა	39

შესავალი

უფლება, მიიღო უმაღლესი განათლება ჯანსაღ გარემოში ყოველგვარი ძალადობისა და იძულების გარეშე, გამოხატო საკუთარი აზრი თავისუფლად და თავად გადაწყვიტო გაიზიარო თუ, არა ის იდეები, რომელთაც გთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ერთ-ერთი იმ ფუნდამენტურ უფლებათაგანია, რომლითაც სტუდენტები ყველა სამართლებრივ სახელმწიფოში სარგებლობენ. საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვითაც, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს ენიჭებათ აღნიშნული უფლებები, ხოლო სტუდენტთა ინტერესების და უფლებების დაცვის ერთ-ერთ მექანიზმად სტუდენტური თვითმმართველობაა შემოთავაზებული.¹

იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სტუდენტური თვითმმართველობა არის ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში, ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას და იღებს მონაწილეობას საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს დაკომპლექტებასა და საქმიანობაში.² პრაქტიკაში აღნიშნული ინსტიტუტის საქმიანობა ძირითადად უარყოფით გამოცდილებასთან არის დაკავშირებული, მათ შორის, სტუდენტთა აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან. ქართულ რეალობაში, საბჭოთა ოკუპაციის პერიოდიდან მოყოლებული, სტუდენტური თვითმმართვე-

¹საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მ.43,45.
ხელმისაწვდომია:https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=32830, (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014).

² Ibid.

ლობა (სხვადასხვა სახელწოდებებით) ყოველთვის მოიაზრებოდა, როგორც სახელისუფლებო ორგანოებთან მჭიდროდ დაკავშირებული ინსტიტუტი და წარმოადგენდა პროფესიული წარმატებისკენ გასავლელ ერთგვარ პლატფორმას იმ სტუდენტებისთვის, რომელთა ძირითადი ინტერესი სახელმწიფო სამსახურში თანამდებობების მიღება იყო. შესაბამისად, ამგვარი სტუდენტების ყურადღება ყოველთვის მიმართული იყო არა სტუდენტების ინტერესების დაცვისკენ, რაც მათ ძირითად მოვალეობას წარმოადგენდა და ახლაც წარმოადგენს, არამედ სახელმწიფო სტრუქტურების, როგორც მომავალი დამსაქმებლისათვის თავის მოწონების მცდელობებისკენ.

გარდა ამისა, სტუდენტების მხრიდან, მუდმივად ისმის ბრალდებები სტუდენტური თვითმმართველობისთვის გადაცემული (ხშირ შემთხვევაში არცთუ უმნიშვნელო რაოდენობის) თანხების არამიზნობრივ და გაუმჭვირვალე ხარჯვაზეც.

აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში არსებული სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების შესახებ საკანონმდებლო რეგულაციების განხილვა. დასკვნის სახით კი შეჯამდება ის ძირეული განსხვავებები, რომლებიც არსებობს განხილული ქვეყნებისა და საქართველოს სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ რეგულაციებში.

2. მსოფლიოს წამყვანი 5 ქვეყნის რეგულაციები სტუდენტურ თვითმმართველობასთან დაკავშირებით

სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დადგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მსოფლიო რეიტინგებში ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული უნივერსიტეტები ლიდერობენ, რომელთაც მოჰყვებიან დი-

დი ბრიტანეთის, კანადის, შვეიცარიისა და გერმანიის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები³ აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ქვეყნების უნივერსიტეტები მოწინავე პოზიციაზე არიან როგორც განათლების ხარისხით, ისე საუნივერსიტეტო სერვისების გამართული ფუნქციონირებით.

1.1 ა.შ.შ.

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ კანონმდებლობაში, რომელიც არეგულირებს უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს სტუდენტთა გაერთიანების შესახებ საუბარი არ არის.⁴ სტუდენტთა გაერთიანების შესახებ სახელმწიფო რეგულაციები გვხვდება დამოუკიდებლად, სხვადასხვა შტატების შიდა კანონმდებლობაში. ხოლო ფედერაციულ დონეზე, არსებობს შეერთებული შტატების სტუდენტთა ასოციაცია, რომელსაც აქვს საკუთარი კონსტიტუცია და აერთიანებს ქვეყნის კერძო და საჯარო უნივერსიტეტების სტუდენტებს.⁵ ამერიკის სტუდენტთა ასოციაციის კონსტიტუციის პრეამბულის მიხედვით, ორგანიზაციის მიზანია: უმაღლესი განათლების სტანდარტების გაუმჯობესება, უმაღლეს განათლებაზე თანასწორი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო დონეზე სტუდენტების ინტერესების წარმოდგენა და დაცვა, ასევე საუნივერსიტეტო აქტივობებში სტუდენტების დაცვა დისკრიმინაციისგან, შემდეგი ნიშნებით: რასა, კანის ფერი, სქესი, ასაკი, სექსუალური

³ხელმისაწვდომია:<http://www.timeshighereducation.co.uk/world-university-rankings/2014-15/world-ranking>. (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014).

⁴ხელმისაწვდომია:<http://www.law.cornell.edu/uscode/text/20>, (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)

⁵ხელმისაწვდომია:<https://docs.google.com/a/iml-lab.com/file/d/0B0CfLE7XDOD0YWxwd3YtRFNiUjg/edit?pli=1> (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014).

ორიენტაცია ან/და გენდერული იდენტობა, შეზღუდული შესაძლებლობები, ფინანსური თუ სოციალური მდგომარეობა, პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა შეხედულებები. კონსტიტუციის მიხედვით, ასოციაციის წევრობა შეუძლია ყველა უნივერსიტეტის კამპუსის წარმომადგენელსა და საუნივერსიტეტო სტუდენტურ გაერთიანებას. კონსტიტუციის შესაბამისად, ყველა წევრი ვალდებულია გადაიხადოს ყოველწლიური საწევრო შენატანი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ წევრი უარს განაცხადებს აღნიშნული შენატანის გადახდაზე, ვალდებულების წარმოშობიდან 60 დღის განმავლობაში, მას ავტომატურად შეუწყდება წევრის სტატუსი. წევრებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა ასოციაციის ბიუჯეტის დაგეგმვაში, მიიღონ ყველა საჭირო ინფორმაცია ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით, გაეცნონ შეკრებებისა და განხილული საკითხების შესახებ დეტალურ ოქმებს, გამოთქვან საკუთარი აზრი ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებით. ასოციაციის წევრების ხმების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ სტუდენტს წარმოადგენს ესა თუ ის წევრი. ასოციაციაში წარმოდგენილია შემდეგი თანამდებობები: ნაციონალური პრეზიდენტი, ვიცე პრეზიდენტი, ფინანსური ოფიცერი, საერთო მდივანი, საკანონმდებლო ოფიცერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი და გაერთიანებების მოხელეთა ოფიცერი. აღნიშნული პირები ახორციელებენ აღმასრულებლის ფუნქციებს და უწევენ კოორდინაციასა და კონტროლს ქვეყანაში არსებული სტუდენტური გაერთიანებების საქმიანობებს. კონსტიტუციის თანახმად, შეერთებული შტატების სტუდენტთა ასოციაციას ჰყავს კონგრესი, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და ადგენს გაერთიანებების ძირითად სამოქმედო მიმართულებებს. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ საკანონმდებლო ორგანოში გამოყოფილია სავალდებულო კვოტები ქალებისთვის, უცხოელი სტუდენტებისთვის, განსხვავებული რასისა და ეთნიკური ჯგუფების

წარმომადგენლებისთვის და სხვა უმცირესობებისთვის.

1.2. დიდი ბრიტანეთი

დიდ ბრიტანეთში სტუდენტური გაერთიანების შექმნისა და საქმიანობის წესს ადგენს 1994 წლის „განათლების შესახებ აქტი“.⁶ აღნიშნული აქტის მეორე ნაწილის მიხედვით, სტუდენტური გაერთიანებები ძირითადად წარმომადგენელ უნივერსიტეტისა და კოლეჯისაგან დამოუკიდებელი იურიდიულ პირებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი მაინც მიიჩნევიან უნივერსიტეტის შემადგენელ ნაწილად.

ქვეყანაში დაფუძნებულია სტუდენტთა ეროვნული გაერთიანება, რომელიც არეგულირებს შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა გაერთიანების ჩამოყალიბებისა და შემდგომი ფუნქციონირებისათვის დაფინანსების მიღების პროცესს. აქტის თანახმად, სტუდენტური გაერთიანება განისაზღვრება როგორც:

- სტუდენტთა ერთობა, რომლის მიზანს წარმოადგენს მისი წევრების, როგორც სტუდენტების ინტერესთა დაცვა; ან
- წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს სტუდენტთა ინტერესების დაცვა აკადემიურ, დისციპლინურ და სხვა საკითხებთან მიმართებით.

ბრიტანეთის 1994 წლის „განათლების შესახებ აქტი“ ავალდებულებს სტუდენტურ გაერთიანებას, რომ მისი საქმიანობა ეფუძნებოდეს სამართლიანობისა და დემოკრატიულობის პრინციპებს. გაერთიანება პასუხისმგებელია თავის ფინანსებზე.

აქტის მიხედვით, ყველა სტუდენტს აქვს უფლება, არ გახდეს გაერთიანების წევრი და წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობის შემთხვევაში, რომელის არ არის გაერ-

⁶ხელმისაწვდომია: <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1994/30/contents/enacted> (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014).

თიანება, უფლება გამოხატოს, რომ არ სურს წარმოდგენილი იყოს აღნიშნული ორგანოთი. კანონის მიხედვით, გაერთიანების ძირითად თანამდებობებზე დანიშვნა უნდა ხდებოდეს არჩევნების მეშვეობით, ფარული კენჭისყრის გზით, რომელში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეს ყველა წევრს. ამასთან, მმართველმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად და ჯეროვნად. წევრს არ აქვს უფლება თანამდებობა ეკავოს 2 წელზე მეტი ვადით.

ბრიტანეთის კანონმდებლობის შესაბამისად, გაერთიანების ფინანსური საქმიანობა უნდა წარიმართოს ჯეროვნად. უნდა არსებობდეს შესაბამისი მექანიზმი ბიუჯეტის დამტკიცებისა და დანახარჯების კონტროლისათვის; აღნიშნულ საქმიანობას უნდა ახორციელებდეს მმართველი ორგანო. გაერთიანების ფინანსური მოხსენებები უნდა ქვეყნდებოდეს პერიოდულად და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მმართველი ორგანოსა და გაერთიანების წევრებისათვის. აღნიშნული მოხსენებები უნდა შეიცავდეს იმ გარე ორგანიზაციების ჩამონათვალს, რომელსაც გაერთიანებამ მისცა შეწირულობა და ამ შეწირულობათა შესახებ დეტალურ ინფორმაციას.

აქტის თანახმად, ჯგუფებისა და კლუბებისათვის რესურსების განაწილების გზები უნდა იყოს სამართლიანი და ჩამოყალიბებული წერილობით იმგვარად, რომ ხელმისაწვდომი იყოს ყველა სტუდენტისათვის. სტუდენტებს ან სტუდენტთა ჯგუფებს უნდა შეეძლოთ საჩივრით მიმართონ გაერთიანებას. გაერთიანების მმართველმა ორგანომ უნდა დანიშნოს ერთი დამოუკიდებელი პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საჩივრების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე. საჩივრები უნდა გადაწყდეს სამართლიანად და დაკმაყოფილების შემთხვევაში არსებობდეს აღსრულების ეფექტური მექანიზმი. ბრიტანული მიდგომით, აუცილებელია, მმართველმა ორგანომ მოამზადოს და გამოსცეს პრაქტიკის კოდექსი (Code of Practice).

გაერთიანებამ წელიწადში ერთხელ სტუდენტებს უნდა გააცნოს:

- მოქმედი პრაქტიკის კოდექსი;
- გაერთიანების საქმიანობის ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც დაწესდა საქველმოქმედო დაწესებულებების შესახებ კანონით.⁷

თანხა, რომელიც გადაეცემა სტუდენტურ გაერთიანებას, რეგულირდება ე.წ. „უფლებამოსილებათა გადაჭარბების შესახებ“ („ultra vires“) კანონით და შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ საქველმოქმედო მიზნებისათვის. სტუდენტური გაერთიანების დაფინანსების ძირითადი წყარო არის ერთიანი გრანტი („Block grant“), რომელსაც გასცემენ კოლეჯები და უნივერსიტეტები.

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობის მიხედვით განსხვავებულია სტუდენტთა გაერთიანების დაფინანსების გზები. ეს შეიძლება იყოს:

- საწევრო შენატანები (Per-capita union fees)-რაც გულისხმობს ერთი სტუდენტის მიერ გადახდილ თანხას.
- ერთდროული ფულადი დახმარება, გრანტი (Block Grant-რომლის რაოდენობას განსაზღვრავს თავად სტუდენტური გაერთიანება და გასცემს შესაბამისი კოლეჯი/უნივერსიტეტი.

აღსანიშნავია, რომ დაფინანსების ეს უკანასკნელი ფორმა მოსახერხებელია იმდენად, რამდენადაც სტუდენტურ გაერთიანებას შეუძლია პერიოდულად განსაზღვროს გრანტის ოდენობა, თუმცა უარყოფითი მახასიათებელი არის ის,

⁷ ხელმისაწვდომია:

<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1994/30/part/II>, (ბოლოს შემოწმებულია:21.10.2014).

რომ სტუდენტების რაოდენობის გაზრდა აუცილებლად არ გულისხმობს შემოსავლის გაზრდასაც.

სტუდენტთა ეროვნული გაერთიანება ურჩევს სტუდენტთა გაერთიანებებს, რომ წარადგინონ დეტალური, კარგად დასაბუთებული განცხადება დაფინანსების მისაღებად. დაფინანსების ოდენობა დამოკიდებულია უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვზე.⁸

1.3. კანადა

კანადაში, კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სტუდენტური გაერთიანებების წევრობა სავალდებულოა, პროვინციების სხვადასხვა წესდებებით.⁹ ასევე, არსებობს კანადის სტუდენტთა ეროვნული გაერთიანება “სტუდენტთა ალიანსი”, რომელიც აწესებს რეგულაციებს და ძირითად მიმართულებებს სტუდენტური ორგანიზაციებისათვის. სტუდენტთა ალიანსისთვის დაფინანსება გამოყოფილია არა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არამედ სტუდენტების სწავლის საფასურიდან, რომელშიც შედის დამატებითი თანხა \$10-\$500-ის ოდენობით. დამატებითი თანხა განკუთვნილია გაერთიანების მიერ გაწეული მომსახურებისთვის.¹⁰

სტუდენტური გაერთიანების აღმასრულებელი თანამდებობის პირები აირჩევიან დემოკრატიული არჩევნების გზით. სტუდენტური გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, დაიცვას სტუდენტთა საუკეთესო ინტერესები უნივერსიტეტში, ასევე მუნიციპალურ, პროვინციისა და

⁸ ხელმისაწვდომია: <http://www.nus.org.uk/en/students-unions/setting-up-a-students-union/getting-the-union-funded/>, (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)

⁹ ხელმისაწვდომია: <https://www.canlii.org/en/ca/laws/#search/type=legislation&jId=ca> (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)

¹⁰ ხელმისაწვდომია: <http://www.studentunion.ca/cfs-documents/cfs-governing-documents/> (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)

ფედერალური ხელისუფლების დონეზე. კანადაში სტუდენტთა გაერთიანებები ძირითადად არიან სტუდენტური ასოციაციების კანადური ალიანსის ან სტუდენტების კანადური ფედერაციის წევრები. ამ მხრივ, ერთადერთ გამოწვევას წარმოადგენს კვებეკის პროვინცია, რომელსაც აქვს საკუთარი სტუდენტური ფედერაცია, სახელწოდებით, „უნივერსიტეტის სტუდენტების კვებეკური ფედერაცია“.

ონტარიოში სტუდენტური გაერთიანებების ავტონომია დგინდება თითოეული ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული სტანდარტების მიხედვით, რის შედეგადაც, ადმინისტრაციას სტუდენტური გაერთიანების ფინანსებთან მიმართებით ფართო უფლებამოსილებები ეძლევა.

1.4. შვეიცარია

შვეიცარიაშიც, ისევე როგორც კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, არსებობს შვეიცარიელ სტუდენტთა ნაციონალური გაერთიანება, რომელიც ადგენს უნივერსიტეტებში არსებული სტუდენტური გაერთიანებების სამოქმედო ჩარჩოებს. გაერთიანების 2014 წელს მიღებული წესდების მიხედვით, მისი მუდმივი ადგილსამყოფელია ქალაქი ბერნი; იგი შედგება კომიტეტისაგან და წარმომადგენელთა კრებისგან.¹¹ წარმომადგენელთა კრება არის მთავარი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც დირექტივებით განსაზღვრავს გაერთიანების მიმართულებებს, იწონებს ბიუჯეტს, ირჩევს კომისიასა და დირექტორთა საბჭოს. კომიტეტი არის მეორეხარისხოვანი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც ირჩევს ბიუროს წევრებს. თავის მხრივ, დირექტორთა საბჭო არის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც წარმო-

¹¹ხელმისაწვდომია: <http://www.vss-unes.ch>, (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)

ადგენს გაერთიანებას მესამე პირებთან ურთიერთობაში და ხელს უწყობს ინფორმაციის გაცვლას კომისიებს შორის. დირექტორთა საბჭო ასევე ადგენს სპეციალურ ბიუროს ფინანსური მენეჯმენტის განსახორციელებლად. სტუდენტთა ნაციონალური გაერთიანების ფინანსები შედგება ძირითადი ბიუჯეტისა და ინვესტიციებისგან. ძირითადი ბიუჯეტი კი უმთავრესად იქმნება ყოველწლიური საწევრო შენატანისგან, რომელიც ერთ სტუდენტზე 500 შვეიცარულ ფრანკს შეადგენს. საბუღალტრო აღრიცხვა და ფინანსების კონტროლი ხორციელდება შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, დამოუკიდებელი მდივნის მიერ.¹²

1.5. გერმანია

გერმანიაში სტუდენტური გაერთიანებების შესახებ სამართლებრივი რეგულაციები გვხვდება როგორც ფედერალურ დონეზე, ისე ტერიტორიული ერთეულების კანონმდებლობაშიც.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ ფედერალური კანონის (Hochschulrahmengesetz) 41-ე პარაგრაფი ეხება უშუალოდ სტუდენტური თვითმმართველობის ინსტიტუტს.¹³

ზემოხსენებული ნორმა ტეროტორიულ ერთეულებს უნივერსიტეტებში სტუდენტური თვითმმართველობის ჩამოყალიბების უფლებას ანიჭებს. სტუდენტური თვითმმართველობის მიზანია უმაღლესი განათლების პოლიტიკაში

¹²შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი, 957-ე მუხლი.

ხელმისაწვდომია: <http://www.admin.ch/ch/e/rs/2/220.en.pdf> (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014).

¹³ხელმისაწვდომია: http://www.gesetze-im-internet.de/hrge/_41.html (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)

ჩართულობა, სტუდენტებისთვის სოციალური თუ კულტურული საჭიროებების დაკმაყოფილება, სტუდენტებს შორის როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ურთიერთობების შენარჩუნება და უნივერსიტეტში სტუდენტთა ინტერესების წარმოდგენა. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სტანდარტის განსამტკიცებლად, კანონი ადგენს, რომ თვითმმართველობის ორგანოს ჩამოყალიბების შემდეგ, იგი თავის საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლად კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

ფედერალური დონის კანონმდებლობაში ასევე გვხვდება ფინანსებთან დაკავშირებული ჩანაწერი, რომლის მიხედვით, თვითმმართველობას განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად, შეუძლია დააწესოს საწევრო შენატანები.

ნორმაში ასევე ნათქვამია, რომ ბიუჯეტის ხარჯვასა და ფინანსურ ანგარიშებზე ზედამხედველობა შესაძლებელია განახორციელოს მხოლოდ სასამართლო აუდიტმა, რომელიც ტერიტორიული ორგანოს შემადგენლობაში შედის.

გერმანიაში სტუდენტური თვითმმართველობა ამერიკული და კანადური მოდელისგან განსხვავებით, უფრო ბიუროკრატიული ფორმით არის წარმოდგენილი. თუმცა, ბიუროკრატია უფრო მკაფიო სახეს იღებს ტერიტორიული ერთეულების ნორმატიული აქტების მეშვეობით, რომლებიც უშუალოდ ადგენენ თვითმმართველობის სტრუქტურასა და თითოეული ორგანოს ძირითად უფლებამოსილებებს, რითიც სულ უფრო ნაკლები სივრცე რჩება ავტონომიური მოწყობისთვის.

2. მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების შიდა რეგულაციები სტუდენტურ თვითმმართველობებთან დაკავშირებით

2.1. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი

აღნიშნულ ინსტიტუტში, თვითმმართველობის ე.წ. შერეული მოდელი არსებობს, რომლის შემადგენელი ნაწილია როგორც თავისუფალი კლუბები, ისე თვითმმართველობა, როგორც უფრო მეტად ბიუროკრატიული და ინსტიტუციონალიზებული ორგანო. ამ მიმართულებით ინსტიტუტში არსებობს ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი თვითმმართველობის სტრუქტურა. ერთი, Undergraduate Association – UA (იმ სტუდენტთა თვითმმართველობა, რომელთაც არ აქვთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი) და მეორე Graduate student council – GSC (იმ სტუდენტთა თვითმმართველობა, რომელთაც უკვე აქვთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი).¹⁴

UA - ანუ ხარისხის არმქონე სტუდენტთა ასოციაციის ძირითადი ფუნქციებია სტუდენტებისთვის ყოველდღიური გარემოს გაუმჯობესება, კერძოდ, კვლევების ჩატარება პრობლემების გამოკვეთის მიზნით და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით ამ პრობლემების მოგვარების ეფექტურ გზებზე მუშაობა. ამასთან, სტუდენტებისთვის სხვადასხვა პროექტებისა და ღონისძიებების ორგანიზება.¹⁵

GSC ანუ ხარისხის მქონე სტუდენტთა საბჭოს ძირითადი ფუნქციებია: წარმოადგინოს სტუდენტები და დაიცვას მათი ინტერესები ყველა ინსტანციაში, უზრუნველყოს სტუ-

¹⁴ხელმისაწვდომია:<http://web.mit.edu/ua/governing-docs/constitution.pdf>(ბოლოს შემოწმებულია:21.10.2014)

¹⁵ხელმისაწვდომია:<http://ua.mit.edu>(ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)

დენტებისთვის სხვადასხვა არაკადემიური აქტივობების მოწყობა, ხელი შეუწყოს ახალ სტუდენტებს ინსტიტუტის გაცნობაში და ერთმანეთთან კომუნიკაციის დამყარებაში.¹⁶

აღნიშნულ ორ სტრუქტურას შორის ფუნქციათა რაიმე სახით გამიჯვნა არ არსებობს, ორივე მათგანი ჩამოყალიბებულია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და განსაზღვრული აქვს საკუთარი პრიორიტეტები. მათ შორის განსხვავება იკვეთება მხოლოდ სტუდენტთა სტატუსთან მიმართებაში. თითოეულის ფორმირებაში მონაწილეობს მხოლოდ ერთი კატეგორიის სტუდენტი (ხარისხის მქონე, ან არმქონე). შესაბამისად, აღნიშნული ორგანოები მხოლოდ მათ წინაშე არიან ანგარიშვალდებულნი, ვინც მათ დაკომპლექტებაში დებულობს მონაწილეობას.

ამას გარდა, სტუდენტური თვითმმართველობის ამ შედარებით ბიუროკრატიული ინსტიტუტის პარალელურად, ინსტიტუტში არსებობს სტუდენტთა თავისუფალი გაერთიანებები- კლუბები. კლუბებისთვის რესურსების გადანაწილების მიზნით იქმნება მუდმივმოქმედი ორგანო- სტუდენტური აქტივობების ასოციაცია (Association of student activities - ASA), რომელიც წარმოადგენს ორი თვითმმართველობის GSC და UA გაერთიანებულ კომიტეტს. მისი ძირითადი ფუნქციაა სტუდენტური გაერთიანებების/კლუბების ინტერესების დაცვა და მათი აქტივობებისთვის შესაბამისი რესურსების მოძიება. ეს ორგანო სამი ძირითადი ძალის (GSC, UA და კლუბები) თანამშრომლობის გადაკვეთის წერტილად გვევლინება.

ASA-ს საბჭოს ძირითადი მოვალეობაა გადაწყვიტოს გაერთიანებების/კლუბებს აღიარების საკითხი. აღიარების შემთხვევაში ASA-მ უნდა გაერთიანებები და კლუბები უნდა

¹⁶ხელმისაწვდომია: <http://gsc.mit.edu/about-gsc/governance/>(ბოლოს შემოწმებულია:21.10.2014)

უზრუნველყოს შესაბამისი რესურსებით (პროექტების დაფინანსება/ოფისის გამოყოფა და სხვა). ამასთან, გაერთიანებებს/კლუბებს შორის დაპირისპირების არსებობისას ხსენებული ორგანოს ე.წ არბიტრის როლს ითავსებს.

გაერთიანების/კლუბის აღიარების წინაპირობაა მისი კონსტიტუციისა (შიდა რეგლამენტის) და რიგ შემთხვევაში ერთწლიანი მუშაობის ანგარიშის წარდგენა. ეს იძლევა იმის შემოწმების საშუალებას, რომ გაერთიანება/კლუბი ერთი მხრივ, რეალურად ფუნქციონირებს (ახორციელებს აქტივობებს) და მეორე მხრივ, მისი ფუნქციონირების წესები არ ეწინააღმდეგება ინსტიტუტის შიდა თუ გარე რეგულაციებს.

ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, საბჭოდან GSC და UA (თვითმმართველობის) წარმომადგენლების გარდა ნებისმიერი პირი შესაძლებელია გადაყენებულ იქნეს საერთო კრების ხმათა 2/3ის მიერ. კრება შედგება აღიარებული კლუბების წარმომადგენლებისგან და იკრიბება წელიწადში მინიმუმ ერთხელ. ამასთან, კრების მოწვევა შეუძლია მინიმუმ 20 გაერთიანების პრეზიდენტს ან ხაზინადარს პეტიციის მეშვეობით. თავის მხრივ GSC-სა და UA-ს (თვითმმართველობების) წარმომადგენლების გამოწვევა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი შიდა რეგულაციების მეშვეობით.

ყველა ორგანოს თუ კლუბს ჰყავს ე.წ. ხაზინადარი, რომელიც პასუხისმგებელია ფინანსურ საკითხებზე, რამდენად სამართლიანად და სწორად ნაწილდება/იხარჯება ბიუჯეტი.

GSC და UA სტრუქტურის ბიუჯეტი ყოველწლიურად შედგება დაახლოებით 300 000 აშშ დოლარისგან (თითოეული სტრუქტურისთვის), რომელიც კონკურსების მეშვეობით, უნდა გადანაწილდეს სხვადასხვა კლუბების/აქტივობების დაფინანსებაზე. აღნიშული ბიუჯეტის დაახლოებით 1/3 ივსება პირდაპირ ე.წ. “სტუდენტური ცხოვრების გადასახადის“ ნაწილიდან, რომელიც შემოიღეს სწორედ იმ მიზნით,

რომ ხელი შეეწყოს სტუდენტური აქტოვობებისთვის. ბიუჯეტის დანარჩენი ნაწილი კი ივსება ინსტიტუტის ცენტრალური ბიუჯეტიდან.¹⁷

2.2. შვეიცარიის ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტი ციურიხი

აღნიშნულ ინსტიტუტში სტუდენტური თვითმმართველობა ნაკლებად ფორმალური სახით გვხვდება და გაერთიანების/ასოციაციის სახე აქვს მიღებული. ორგანო კომპლექტდება ცალკეული პროფესიული კლუბების/გაერთიანებების წარმომადგენლებისაგან.¹⁸

ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციებია დაიცვას ზოგადად სტუდენტების ინტერესები; უზრუნველყოს მათთვის სერვისების დანერგვა და მიწოდება; პოპულარიზაცია გაუწიოს კულტურული და სამეცნიერო ინტერესების გაღვივებას; მონაწილეობა მიიღოს განათლებისა და მეცნიერების შესახებ დიკუსიებში.

ორგანიზაცია ძირითადად ფინანსდება სტუდენტების მიერ, სპეციალური გადასახადიდან.¹⁹

2.3. სტენფორდის უნივერსიტეტი

სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტური გაერთიანება არის ორგანიზაცია, რომლის ყველა წევრი სტუდენტია.

¹⁷Ibid.

¹⁸ხელმისაწვდომია:<https://www.vseth.ethz.ch/vseth/rechtssammlung> (ბოლოსშემოწმებულია 21.10.2014)

¹⁹ხელმისაწვდომია:<https://www.ethz.ch/en.html> (ბოლოს შემოწმებულია:21.10.2014).

სტუდენტურ გაერთიანებას აქვს საკუთარი კონსტიტუცია. კონსტიტუცია შედგება რამდენიმე თავისაგან. მისი სტრუქტურა სახელმწიფოს კონსტიტუციის მსგავსია. კონსტიტუციის თანახმად, სტუდენტთა გაერთიანებას ჰყავს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები. სტუდენტთა გაერთიანებას ასევე ჰყავს საკონსტიტუციო საბჭო.²⁰

კონსტიტუციის პრეამბულის მიხედვით, სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტები ერთიანდებიან იმისათვის, რომ დაიცვან საკუთარი ინტერესები, განსაზღვრონ მირითადი მოვალეობები და უზრუნველყონ მონაწილეობა უნივერსიტეტის მართვაში.

სტენფორდის კონსტიტუციის 1-ლი მუხლი შეიცავს სტუდენტთა გაერთიანების წევრების უფლებების ჩამონათვალს. ამ უფლებათა შორის აღსანიშნავია: უდანაშაულობის პრეზუმფცია, ინფორმაციის მიღებისა და აზრის საჯაროდ გამოხატვის თავისუფლება. კონსტიტუციითვეა განსაზღვრული სტუდენტთა გაერთიანების დამოუკიდებლობა, მათ შორის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან კონტროლისა და ზედამხედველობისაგან.

სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტური გაერთიანების კონსტიტუციის მე-2 მუხლი შეეხება სტუდენტთა გაერთიანების საკანონმდებლო ხელისუფლებას. გაერთიანების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ეკუთვნის გაერთიანების საკანონმდებლო ორგანოებს: ბაკალავრიატის საფეხურის სენატსა და აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტების საბჭოს.

ბაკალავრიატის საფეხურის სენატი შედგება 16 წევრისაგან, რომელთაგან 15 აირჩევა გაერთიანების ბაკალა-

²⁰ხელმისაწვდომია:http://web.stanford.edu/group/ko/temp/gov_docs/Working_C99.pdf (ბოლოს შემოწმებულია:21.10.2014).

ვრიატის საფეხურის სტუდენტებისაგან და წარმოადგენს მათ, მე-16 წევრი კი არის გაერთიანების ვიცე-პრეზიდენტი.

გაერთიანების აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტების საბჭო წარმოადგენს მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე წევრებს. საბჭო შედგება 16 წევრისაგან, რომელთაგან 15 აირჩევა გაერთიანების აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტებისა და პროფესიული სკოლის წევრებისაგან და შესაბამისად საბჭოშიც წარმოადგენს მათ ინტერესს. საბჭოს მე-16 წევრია გაერთიანების ვიცე-პრეზიდენტი.

საკანონმდებლო ორგანოს წევრები აირჩევიან ყოველი წლის გაზაფხულის კვარტალის საერთო არჩევნებისას.

ბაკალავრიატის საფეხურის სენატი უფლებამოსილია, ხმათა უმრავლესობით, სათათბირო ხმის უფლება მიანიჭოს გაერთიანების ნებისმიერ წევრს. გაერთიანების ყველა წევრი უფლებამოსილია, მიმართოს სენატს, სათათბირო ხმის უფლების მინიჭების მოთხოვნით.

ბაკალავრიატის საფეხურის სენატში მოქმედებს რამდენიმე მუდმივი კომიტეტი. ხმათა ორი მესამედით და გაერთიანების პრეზიდენტის თანხმობით, სენატი უფლებამოსილია, შექმნას ახალი მუდმივი კომიტეტი. სენატი ასევე უფლებამოსილია, ხმათა უმრავლესობით, შექმნას სპეციალური კომიტეტები კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად. სენატს ასევე შეუძლია, ჩამოაყალიბოს ნებისმიერი სხვა ფორმის ჯგუფი ან ორგანიზაციული სტრუქტურა, თუკი იგი ამას გაერთიანების საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროდ მიიჩნევს.

მუდმივი კომიტეტები შედგება სენატის არანაკლებ 3 და არაუმეტეს 8 წევრისგან. ისინი აირჩევიან სენატის მიერ ხმათა უმრავლესობით, სენატის თავმჯდომარის მიერ დასახელებული აპლიკანტებისგან.

საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები უფლებამოსილნი არიან, დაამტკიცონ სტენფორდის სტუდენტურ ორგანოში წარმომადგენელთა დანიშვაა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსხვავებული პროცედურა დადგინდება, საერთო არჩევნებისას ხმის მიცემის შედეგად. ბაკალავრიატის სენატი ამგვარ დამტკიცებას ახდენს ხმათა უმრავლესობით, ხოლო აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტების საბჭოს მიერ სტენფორდის სტუდენტურ ორგანოში წარმომადგენელთა დანიშვნის დამტკიცების პროცედურა კანონქვემდებარე აქტით განისაზღვრება.

გაერთიანების პრეზიდენტი არის გაერთიანების აღმასრულებელი დირექტორი. გაერთიანების მიზნების განხორციელებაში პრეზიდენტს ეხმარება ვიცე-პრეზიდენტი. პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი აირჩევიან წყვილად წარმოდგენილი პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებისაგან. ამომრჩეველი ხმას აძლევს კანდიდატთა წყვილს. იმთავითვეა განსაზღვრული, თუ რომელი პირია პრეზიდენტობის, ხოლო რომელი - ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი.

გაერთიანებას ჰყავს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც კოორდინაციას უწევს გაერთიანების აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობის ადმინისტრირებასა და აქტივობების განხორციელებას. აღმასრულებელი კომიტეტის წევრები არიან: 1. პრეზიდენტი, რომელიც თავმჯდომარეობს კომიტეტს; 2. ვიცე-პრეზიდენტი; 3. ბაკალავრიატის საფეხურის სენატის თავმჯდომარე და სენატის დეპუტაციის ხელმძღვანელი; 4. აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტების საბჭოს თავმჯდომარე და ფინანსური ოფიცერი; 5. გაერთიანების ფინანსური მენეჯერი.

ამას გარდა, გაერთიანება თავის წევრებზე უნივერსიტეტის სასამართლო ორგანოების ხელისუფლებას ცნობს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ორგანოები დამტკიც-

დებიან გაერთიანების იმ წევრთა ორი-მესამედის მხარდაჭერით, რომელთაც ხმა მისცეს არჩევნებში.

საკონსტიტუციო საბჭო განიხილავს საკითხებს, რომლებიც შეეხება გაერთიანების საკანონმდებლო ორგანოების, პრეზიდენტის ან წევრ(ებ)ის აქტების გაერთიანების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს.

საკონსტიტუციო საბჭო შედგება 5 წევრისაგან, რომლებიც ხმათა უმრავლესობით ირჩევენ თავმჯდომარეს. ყველა წევრი უნდა იყოს გაერთიანების მოქმედი წევრი. საკონსტიტუციო საბჭოს წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს მანამ, სანამ დატოვებს თანამდებობას, შეწყვეტს გაერთიანების წევრობას ან გადაყენებულ იქნება ორივე საკანონმდებლო ორგანოს ხმათა 4/5-ით. საკონსტიტუციო საბჭოსათვის მიმართვის უფლება აქვს გაერთიანების წევრთა 5%-ს პეტციით, გაერთიანების პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს წერილობითი მოთხოვნით, სენატის 5 წევრს პეტციით. საკონსტიტუციო საბჭოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი კარგავს იურიდიულ ძალას. მოქმედებები, რომლებიც ეფუძნებოდა არაკონსტიტუციურად ცნობილ აქტს, საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, თუკი ისინი კეთილსინდისიერად განხორციელდა. საკონსტიტუციო საბჭო არ არის უფლებამოსილი, კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით, ბრალი დასდოს სტუდენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ საბჭო არ უნდა აკონტროლებდეს სტუდენტების მიერ დისციპლინის დაცვას. იგი განიხილავს მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ საკითხებს.

სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტურმა გაერთიანებამ შესაძლებელია, შეაგროვოს ერთი ან რამდენიმე საერთო საწევრო შესატანი. ასეთი შესატანები შესაძლებელია, აიკრიფოს ან ბაკალავრიატის სტუდენტებისაგან ან აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტებისაგან, მაგრამ, არა ორივესგან ერთად. თითოეულ საერთო შესატანს უნდა ჰქონ-

დეს მკაფიოდ გამოხატული მიზანი, რომელიც დადასტურებული უნდა იქნას იმავე პროცედურით, რომელიც გამოიყენება, საერთო შესატანის განაკვეთის დადგენისას. ხოლო საერთო შენატანებით შეგროვებული თანხა ფონდიდან შეიძლება, დაიხარჯოს, შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოს თანხმობით და მხოლოდ სათანადო პროცედურის გავლის შედეგად, დამტკიცებული მიზნისათვის.

გაერთიანებას ჰყავს ფონდიც, რომელიც შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს საგანმანათლებლო ან სხვა ძირითადი მიზნების განსახორციელებლად. გაერთიანების წევრებისთვის დადგენილი გადასახადიდან ამოღებული სახსრები მხოლოდ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენება. გაერთიანება და მისი სააგენტოები ვერ მიიღებენ და ვერ განკარგავენ ვერანაირ სახსარს ავტორიზაციის გავლის გარეშე. ავტორიზაცია გულისხმობს სათანადო საკანონმდებლო ორგანოს მიერ შესაბამისი ბიუჯეტის მოწონებას.

გაერთიანების სააგენტოების ფინანსური ჩანაწერები, და სტუდენტური ორგანიზაციების ფონდები პერიოდულად უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი, გარეშე აუდიტორის მიერ, რომელსაც ამტკიცებს ფინანსური მენეჯერი. გაერთიანებას აქვს სესხის აღების უფლება. სესხის აღების დამტკიცების უფლებამოსილება გააჩნია შესაბამის საკანონმდებლო ორგანოს. გაერთიანებას ჰყავს ფინანსური მენეჯერიც, რომელიც, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას, პასუხისმგებელია გაერთიანების საკანონმდებლო ორგანოების წინაშე.

2.4. კემბრიჯის უნივერსიტეტი

კემბრიჯის უნივერსიტეტში შექმნილია კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანება, რომელიც არის წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმა და უზრუნველ-

ყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

სტუდენტები ყოველწლიურად ხმას აძლევენ კემბრიჯის სტუდენტთა გაერთიანების სრულგანაკვეთიანი პოსტის ნ კანდიდატს, რომლებიც შემდგომში მოქმედებენ სტუდენტთა ინტერესების სასარგებლოდ და უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთათვის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას.

სტუდენტთა გაერთიანებაში იქმნება აგრეთვე კემბრიჯის სტუდენტთა გაერთიანების საბჭო, რომელიც იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სტუდენტთა წარმომადგენლობის შესახებ. ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია საბჭოს წარუდგინოს წინადადება იმ საკითხის შესახებ, რომელიც სურს რომელიც სურს რომ განიხილონ უნივერსიტეტის მმართველმა ორგანოებმა.

კემბრიჯის სტუდენტთა გაერთიანება მიერთებულია ასევე სტუდენტთა ეროვნულ გაერთიანებასთან (NUS), რაც იმას გულისხმობს, რომ კემბრიჯის სტუდენტები წარმოდგენილი არიან ასევე ეროვნულ დონეზეც.²¹

კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანებასაც აქვს საკუთარი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც გაერთიანების წევრები უფლებამოსილნი არიან :

- მონაწილეობა მიიღონ გაერთიანების პოლიტიკის განსაზღვრაში კონსტიტუციისა და რეგულაციების საფუძველზე ან მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკის განსაზღვრაში რეფერენდუმის საფუძველზე;
- ხმა მისცენ სტუდენტთა გაერთიანების არჩევნებში;
- წევრებს შესაძლოა მიენიჭოთ სხვა უფლებებიც სტუდენტთა გაერთიანების საბჭოს მიერ, რომელიც თანაბრად

²¹<https://www.cusu.cam.ac.uk/union/structure/>

გავრცელდება უნივერსიტეტის ყველა სტუდენტზე. აღნიშნული უფლებები დაცულია გაერთიანების რეგულაციებით.

კონსტიტუციის მიხედვით, ნებისმიერი საკითხი, გარდა პირის უფლებამოსილების შეწყვეტისა, შესაძლებელია გადაწყდეს რეფერენდუმით. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებას ჰყავს 6 მუდმივი თანამდებობის პირი: პრეზიდენტი, განათლების ოფიცერი, გაერთიანებასთან ურთიერთობის ხელმისაწვდომობისა და დაფინანსების ოფიცერი, კოორდინატორი, სტუდენტთა ხელშეწყობის ოფიცერი და ქალთა ოფიცერი.

კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანების არჩევნები უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრით. კენჭისყრის შედეგები უნდა იყოს საჯარო.

გაერთიანებამ თავად უნდა უზრუნველყოს თავისი ფინანსების ადმინისტრირება. კოორდინატორის მიერ წლიური ბიუჯეტის პროექტი უნდა მომზადდეს არაუგვიანეს წინა წლის 1 ივლისისა და წარედგინოს პირველ საბჭოს რატიფიკაციისთვის. თანხები იყოფა კონკრეტულ საბიუჯეტო კატეგორიებად და შეიძლება გამოყენებული იქნეს გაერთიანების მხოლოდ იმ აქტივობებისათვის, რომელთათვისაც გაწერილია აღნიშნული სახსრები. გარდა ამისა, ბიუჯეტი შესაძლებელია, მოიცავდეს კატეგორიას „Campaigns to allocate“, რაც იძლევა საბიუჯეტო წლის განმავლობაში საჭირო კამპანიის წარმოებას საბჭოს მოთხოვნით. კოორდინატორის ვალდებულებაა, რომ ბიუჯეტის პროექტში, რომელიც წარედგინება საბჭოს, ასახული ხარჯები არ აღემატებოდეს შესაბამისი ფინანსური წლის შემოსავალს.

გაერთიანების ფინანსების მართვაზე უფროსი ფინანსური ოფიცერი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე. გაერთიანების ფინანსური წლის ბოლოს, კოორდინატორმა უნდა უზრუნველყოს გაერთიანების ანგარიშების შემოწმება და მოამზადოს ფინანსური მოხსენება,

რომელსაც წარუდგენს უნივერსიტეტის საბჭოს და გააცნობს ასევე გაერთიანების წევრებს.

აღმასრულებლის მოვალეობაა, უზრუნველყოს, რომ სტუდენტთა გაერთიანებამ და მისმა შესაბამისმა ორგანოებმა, არ მოითხოვონ ისეთი ხარჯების გაწევა, რომლებიც არ შეესაბამება გაერთიანების კონსტიტუციით, რეგულაციებითა და გაერთიანების პოლიტიკით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს.

2.5. ტორონტოს უნივერსიტეტი

ტორონტოს უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანება მოიცავს და წარმოადგენს ბაკალავრიატისა და უფრო მაღალი საფეხურების სტუდენტებს. გაერთიანებაში გაწევრიანება ხდება ავტომატურად. გაერთიანების ნებისმიერ წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს არჩევნებში, რომლის შედეგადაც ხდება დირექტორთა საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა. წევრებს უფლება აქვთ ასევე ხმა მისცენ სტუდენტთა გაერთიანების საერთო, პერიოდულ და კომისიის შეხვედრებზე, სადაც გადაწყვეტილება მიიღება გაერთიანების პოლიტიკის, ღონისძიებებისა და ფინანსების შესახებ.

ტორონტოს უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანებაში არსებობს 400-ზე მეტი კლუბი. იმ შემთხვევაში, თუ კლუბი მოქმედებს გაერთიანების კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ, გაერთიანებამ შესაძლოა გააუქმოს მისი სტატუსი. კლუბს შეუძლია მიმართოს სტატუსის აღსადგენად მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში.

კლუბები ფინანსდება სტუდენტთა გაერთიანების მიერ. სტუდენტთა გაერთიანება აღიარებული სტატუსის მქონე კლუბებს სთავაზობს ხუთი სახის დაფინანსებას: მოკლე-

ვადიანს, გრძელვადიანს, საზაფხულო, საწყისი და ხელახალი განხილვისათვის.

მოკლევადიანი დაფინანსება (Short-term funding):

მიზნად ისახავს დაეხმაროს კლუბებს წელიწადის განმავლობაში ღონისძიებების ორგანიზებაში, კამპანიების ჩატარებასა და მომსახურების გაწევაში, რომელიც გულისხმობს კონფერენციების, გამოცემებისა და ქველმოქმედების ხარჯებს.

გრძელვადიანი დაფინანსება (Long-term Funding):

მიზნად ისახავს მთელი წლის განმავლობაში კლუბების ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობას. აღნიშნული დაფინანსება განკუთვნილია იმ კლუბებისათვის, რომლებიც წლის განმავლობაში ორგანიზებას უკეთებენ მრავალ ღონისძიებას და რომელთა ჩატარებაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

გრძელვადიანი დაფინანსების მიღება არ შეუძლიათ იმ კლუბებს, რომელთაც მიღებული აქვთ საწყისი ან მოკლევადიანი დაფინანსება.

საწყისი დაფინანსება (Start-up Funding):

საწყისი დაფინანსება განკუთვნილია იმ კლუბებისათვის, რომელთაც არ მიუმართავთ დაფინანსებისათვის ბოლო ორი წლის განმავლობაში, ასევე ახლადდაფუძნებული კლუბების ან იმ კლუბებისათვის, რომელთაც გააჩნიათ მცირე სამოქმედო ბიუჯეტი.

საწყისი დაფინანსების მიღება არ შეუძლიათ კლუბებს, რომელთაც მიღებული აქვთ მოკლევადიანი ან გრძელვადიანი დაფინანსება.

საზაფხულო დაფინანსება (Summer-term Funding):

განკუთვნილია იმ კლუბებისათვის, რომლებიც ორგანიზებას უკეთებენ ღონისძიებებს ზაფხულის განმავლობაში.

ხელახალი განხილვისათვის დაფინანსება (Reconsideration Funding):

დაფინანსება განკუთვნილია იმ კლუბებისათვის, რომელთაც წარმოაჩინეს გაერთიანების თანხების პასუხისმგებლობით განკარგვის უნარი და სჭირდებათ დამატებითი სახსრები მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში.²²

ტორონტოს უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანების წევრები არიან სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სრულ პროგრამაზე, რომლის დასრულების შედეგად მოიპოვებენ ხარისხს, დიპლომს ან სერთიფიკატს, ან გადიან ექვივალენტურ კურსებს და ასევე, რომელთაც გადახდილი აქვთ გაერთიანების საწევრო შენატანი.

წევრობა წყდება მაშინ, როდესაც წევრი უარს იტყვის მასზე ან მას გააძევებენ ტორონტოს უნივერსიტეტიდან ან როდესაც წევრი დაასრულებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას უნივერსიტეტში.

წევრების უფლებები:

- ხმა მისცენ გაერთიანების არჩევნებში, რეფერენდუმსა და გაერთიანების საერთო შეხვედრებზე;
- ხელი მოაწერონ გაერთიანების პეტიციებს;
- წარმოადგინონ კანდიდატი დირექტორთა საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისათვის;
- „მონაწილეობას იღებდნენ დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნებისმიერი კომისიის საქმიანობაში“

²²Policy Manual-http://utsu.ca/wp-content/uploads/2013/12/UTSU_Policy_Manual.pdf

- იყვნენ არჩეულნი დირექტორთა საბჭოში;

დირექტორთა საბჭო შედგება: აღმასრულებელი წევრებისაგან, პირველი და მეორე განყოფილებებისგან, დირექტორებისგან და ხმის უფლების არმქონე წარმომადგენლებისაგან. საბჭო აირჩევა ერთი წლის ვადით.

დირექტორთა საბჭო არის გაერთიანების გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანო, რომელიც განკარგავს გაერთიანების ყოველდღიურ საქმიანობას. ის შედგება წევრების მიერ არჩეული დირექტორებისგან. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საბოლოოა, სანამ მოხდება მათი გაუქმება.

საბჭო უფლებამოსილია;

გაერთიანების სახელით ისესხოს თანხა; შეზღუდოს ან გაზარდოს ნასესხები თანხის რაოდენობა;

გამოუშვას ან გაყიდოს გაერთიანების ობლიგაციები ან სხვა ფასიანი ქაღალდები და დააწესოს მათი ღირებულება და ფასები.

გაერთიანების კომიტეტებმა და კომისიებმა უნდა აღასრულონ დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. კომიტეტებმა და კომისიებმა უნდა წარუდგინონ საბჭოს პერიოდული მოხსენებები/ანგარიშები.²³

2.6. კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი

კალიფორნიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტს ჰყავს აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტთა საბჭო, რომლის აღმასრულებელი თანამდებობის წევრები აირჩევა პირდა-

²³ხელმისაწვდომია: UTSU Bylaws-<http://utsu.ca/wp-content/uploads/2014/07/UTSU-BYLAWS-AS-AT-05.01.2014.pdf>(ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014).

პირი არჩევნების შედეგად. საბჭოში არის 6 ძირითადი კომიტეტი: მმართველი კომიტეტი, მდგრადი განვითარების, სოციალური, პუბლიკაციების, აკადემიური და ადვოკატირების კომიტეტები. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დროებით ან მუდმივად შეიქმნას ესა თუ ის ახალი კომიტეტი.²⁴

აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტები ავტომატურად ხდებიან საბჭოს წევრები და სარგებლობენ ყველა იმ უფლებითა და პრივილეგიით, რაც შიდა კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული. მეორე მხრივ, უნივერსიტეტს აქვს 100-ზე მეტი სტუდენტური კლუბი, რომლებიც სხვადასხვა ღირებულებებისა და იდეების ირგვლივ გაერთიანებული სტუდენტებისგან შედგებიან. აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტთა საბჭოს უფლებამოსილებაში შედის აღიაროს ესა თუ ის კლუბი და მისცეს დაფინანსება. საბჭოში არსებობს ბიუჯეტის და ფინანსების კომიტეტი, რომელიც ზაფხულის სემესტრის განმავლობაში საბჭოში შემავალ ყველა ორგანოსთან შეთანხმებით ადგენს ბიუჯეტს. ბიუჯეტი უნდა იყოს გათვალისწინებული: კლუბებისთვის, აკადემიური, ადვოკატირების, სოციალური და პუბლიკაციების კომიტეტებისთვის, ასევე მდგრადი განვითარების ფონდისათვის და სხვა საჭიროებებისთვის. საბოლოოდ ბიუჯეტს ამტკიცებს საბჭო, რომელსაც აქვს ბიუჯეტის მოწონებისა და შეფერხების უფლებამოსილებები. ბიუჯეტი უნდა დამტკიცდეს საბჭოს წევრთა 2/3-ის მონაწილეობით უმრავლესობის მიერ.²⁵

²⁴ხელმისაწვდომია:<http://gsc.caltech.edu/wp-content/uploads/2014/06/Statutes-as-of-2013-06-27.pdf> (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014).

²⁵Ibid.

2.7. ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი

უნივერსიტეტში ყველა სტუდენტი, მიუხედავად სურვილისა, გაწევრიანებულია სტუდენტურ გაერთიანებაში. გაწევრიანება ხდება უნივერსიტეტში დარეგისტრირებისთანავე. ასევე აღსანიშნავია, რომ წევრობის საფუძველზე თითოეული მათგანი იხდის შენატანს 6 ევროს. სტუდენტი გაწევრიანებასთან ერთად ავტომატურად იღებს აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას, რომელის მეშვეობით კომპლექტდება წარმომადგენლობითი ორგანო.²⁶

საერთო კრება არის გაერთიანების უმაღლესი ორგანო, რომლის უფლებამოსილებაშიც შედის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკითხებზე მსჯელობა და გადაწყვეტილებების მიღება. ნებისმიერ სტუდენტს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა საერთო კრებაში.

სტუდენტური პარლამენტი (StuPa) შედგება 60 წევრისგან, რომელებიც აირჩევიან ერთი წლის ვადით (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტური პარლამენტის ცნება შემოაქვს თავად ბერლინის ტერიტორიული ერთეულის კანონს უნივერსიტეტების შესახებ²⁷ - BerlHG. აღნიშნული კანონი უშუალოდ ადგენს რამდენიმე უნივერსიტეტისთვის პარლამენტის წევრების რაოდენობას, რომელიც ოთხი დიდი უნივერსიტეტის შემთხვევაში არის 60, ხოლო დანარჩენი უნივერსიტეტებისთვის - 30). სტუდენტური პარლამენტი არის წარმომადგენლობითი ორგანო და იღებს გადაწყვე-

²⁶ხელმისაწვდომია:https://www.ibi.hu-berlin.de/studium/fachschaft/hochschulpolitik/index_html(ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)

²⁷ხელმისაწვდომია:<http://gesetze.berlin.de/default.aspx?vpath=bibdata%2fges%2fBlnHG%2fcont%2fBlnHG.P18.htm>(ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)

ტილებებს კონკრეტული ფაქტების ნორმებთან შესაბამისობისა და ფინანსური საკითხების შესახებ (სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტის განკარგვის თაობაზე). ამასთან, სტუდენტური პარლამენტი ირჩევს მომხსენებელთა საბჭოს (RefRat), რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს. თემატიკის მიხედვით მომხსენებელთა საბჭო იყოფა დეპარტამენტებად. ძირითადი დეპარტამენტებია: საზოგადოებასთან ურთიერთობა, ფინანსები, კულტურა, უნივერსიტეტის პოლიტიკა. თუმცა, ჩამოთვლილის გარდა, შესაძლებელია სხვა ცალკეულ თემატიკასთან დაკავშირებით არსებობდეს დეპარტამენტი.

სტუდენტური ორგანოების ანგარიშვალდებულების მექანიზმები გვხვდება უშუალოდ თვითმმართველობის შიდა რეგულაციებში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ანგარიშვალდებულების ეფექტურ მექანიზმად წარმოდგენილია ე.წ. კენჭისყრა (Urabstimmung), რომელიც ფაქტიურად არის რეფერენდუმის მსგავსი ინსტრუმენტი. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ხმის უფლების მქონე ყველა სტუდენტს. მთავარი, რაც აღნიშნულ მექანიზმს ეფექტურობას სძენს, ისაა, რომ აღნიშნული კენჭისყრის ინიცირება შეუძლია სტუდენტთა 2%-ს. იმ შემთხვევაში, თუ პროცედურაში მონაწილეობას მიიღებს სტუდენტთა არანაკლებ 10%-ისა, კენჭისყრით მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო ხდება თვითმმართველობის ყველა ორგანოსთვის.

რაც შეეხება ფინანსების საკითხს, აქ ტერიტორიული ერთეულის კანონმდებლობა ფედერალურთან შედარებით უფრო კონკრეტულია და ადგენს, რომ სტუდენტურმა თვითმმართველობამ შესაძლებელია დაფინანსება მიიღოს მისი წევრებისგან. შენატანების ოდენობა შეიძლება ლიმიტირებული იყოს (ზედა ზღვარი) ბიუჯეტის ეკონომიურად ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე. კანონი ასევე ადგენს, რომ შენატანები, რომელიც წევრებს ანუ სტუდენტებს შეაქვთ, თავისუფალი უნდა იყოს უნივერსიტეტის მხრიდან ყოველ-

გვარი დაბეგვრისგან. საბოლოოდ, ბიუჯეტი და შენატანების ოდენობა საჭიროებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი -რადგან ფინანსური საკითხები (გადასახადები, ბუღალტერია, ანგარიშგება) ხშირ შემთხვევაში, სტუდენტისთვის უცნობ, სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, ბერლინის კანონმდებლობა სტუდენტურ გაერთიანებას აძლევს შესაძლებლობას ფინანსური მართვის მიზნით გამოიყენოს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და მისი რესურსები.²⁸

საკმაოდ საინტერესო ჩანაწერია ხსენებული კანონის მე-18 პარაგრაფშიც, რომლის მიხედვითაც, თუ გარემოებები ამის შესაძლებლობას იძლევა, უკეთესი იქნება თუ სტუდენტური გაერთიანების არჩევნები ჩატარდება რომელიმე საყოველთაო არჩევნების (იგულისხმება: საპარლამენტო, საპრეზიდენტო ან ფედერალური არჩევნები) პარალელურად. ამ მისწრაფებას საფუძვლად უნდა ედოს სტუდენტურ თვითმმართველობებთან დაკავშირებული ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სტუდენტური გაერთიანების და მის საქმიანობაში ჩართულ სტუდენტთა დახმარებით ახალგაზრდები იყალიბებენ სამოქალაქო კულტურის მაღალ განცდას და უფრო მეტად ეგუებიან დემოკრატიულ პროცესებს, რაც საუნივერსიტეტო ცხოვრების დასრულების შემდგომ პირდაპირ ასახვას ჰპოვებს ქვეყნის მოსახლეობის დემოკრატიულ განვითარებისა და სამოქალაქო ჩართულობის ხარისხზე. სწორედ ამიტომ, კანონი რეკომენდაციის სახით ადგენს, რომ უმჯობესია საუნივერსიტეტო თვითმმართველობის არჩევნები დაახლოებული იყოს მაღალი დონის თვითმმართველობის არჩევნების პროცესებთან.

²⁸Ibid.

ბოლო ელემენტი, რომელსაც კანონმდებლობა ეხება, ესაა ფინანსური პასუხისმგებლობის საკითხი. სტუდენტური თვითმმართველობის ფინანსური მენეჯმენტის აუდიტი დასაშვებია მხოლოდ ბერლინის სასამართლოს მიერ. სტუდენტური თვითმმართველობა გვევლინება, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის პირი და მისი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ მისი აქტივებით.

2.8. ჰარვარდის უნივერსიტეტი

ჰარვარდის უნივერსიტეტი შედგება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი თორმეტი სკოლისაგან, რომელთაგან თითოეულს სტუდენტური ორგანიზაციებისთვის აქვს საკუთარი შიდა სისტემა. თუმცა, სტუდენტური თვითმმართველობის ელემენტები აღნიშნულ უნივერსიტეტში მხოლოდ სკოლების შიდა მასშტაბით არ გვხვდება, არამედ მათ გარდა არსებობს ძირითადი სტუდენტური გაერთიანების ორგანოც, რომელიც მოიხსენიება როგორც ჰარვარდის ხარისხის მქონე სტუდენტთა თვითმმართველობა (Harvard Graduate Student Government - HGSG).²⁹

აღნიშნული ორგანოს ძირითადი მარეგულირებელი აქტებია მისი კონსტიტუცია და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია წესდება. ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

თითოეული სტუდენტის პრობლემების აქტუალიზაცია და მათი მოგვარებისთვის ეფექტური გზების გამოძებნა;

სტუდენტების წარმომადგენლობა ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში;

²⁹ხელმისაწვდომია: <http://hgc.harvard.edu/legal/>(ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)

სხვადასხვა სკოლების წარმომადგენლების ინტელექტუალური რესურსების გაერთიანება და თანამშრომლობის ხელშეწყობა;

სტუდენტებს, ფაკულტეტსა და ადმინისტრაციას შორის დიალოგის ხელშეწყობა;

უნივერსიტეტის მასშტაბით არსებულ სკოლებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება, საერთო აკადემიური განვითარების, გასართობი თუ სოციალური აქტივობების ორგანიზება.

ჰარვარდის უნივერსიტეტში, სკოლების გარეთ, ძირითადი სტრუქტურირებული თვითმმართველობის გარდა ასევე არსებობს, ე.წ. “უნივერსიტეტის მასშტაბის სტუდენტური გაერთიანებები” (University-wide student groups - USGs), რომლებიც ნაკლებად ბიუროკრატიული ხასიათისაა და ფაქტიურად წარმოადგენს თავისუფალ გაერთიანებებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ სტატუსის მოსაპოვებლად გაერთიანება უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს და ფორმალურად საჭიროა გარკვეული პროცედურების გავლა. თავის მხრივ, გაერთიანებისთვის ამ სტატუსის მინიჭება გულისხმობს შესაძლებლობას, რომ ის უზრუნველყოფილი იქნას ფუნქციონირებისთვის საჭირო ინვენტარით და მოიპოვოს დაფინანსება სხვადასხვა აქტივობების ორგანიზების მიზნით.³⁰

USGs-ებს ფინანსური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფს/აფინანსებს (ძირითადი თვითმმართველობის ორგანო). თავის მხრივ, HGSG წევრი ჰარვარდის უნივერსიტეტის თორმეტივე სკოლაში რეგისტრირებული ყველა სტუდენტი არის. თითოეული სკოლის თვითმმართველობის პრეზიდენტი ავტომატურად ხდება HGSG-ის სენატის წევრი. HGSG-ის ძირითადი ორგანოა მმართველობითი საბჭო. ნებისმიერ სტუდენტს, რომელიც არის HGSG-ის წევრი (ანუ

³⁰ Ibid.

ყველა არსებული სტუდენტი ჰარვარდის უნივერსიტეტში) აქვს შესაძლებლობა არჩევის გზით გახდეს მმართველობითი საბჭოს წევრი. მმართველობითი საბჭო იყოფა სამ ძირითად წარმომადგენლობად: 1. სენატორები; 2. კომიტეტის წარმომადგენლები; 3. აღმასრულებელი საბჭო.

დასახული მიზნების უკეთ შესრულებისა და უზრუნველყოფისთვის, აღმასრულებელ საბჭოსთან ერთად იქმნება სპეციალიზებული კომიტეტები, რომლებიც თემატიკის მიხედვით ახორციელებენ საქმიანობას (აღმასრულებელი კომიტეტი; ადვოკატირების კომიტეტი; კომუნუკაციების კომიტეტი; ღონისძიებების კომიტეტი; ფინანსური კომიტეტი; შიდა ოპერაციების კომიტეტი). თითოეულ კომიტეტს თავმჯდომარეობს ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც არის კომიტეტის წარმომადგენელი აღმასრულებელ საბჭოში.

აღმასრულებელი საბჭო პასუხისმგებელია HGSC-ის ძირითადი საქმიანობების შესრულებაზე, საბჭო შედგება პრეზიდენტისგან, აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტისგან და ზემოთ ჩამოთვლილი სხვა 5 კომიტეტის ზემოთ ჩამოთვლილი სხვა 5 კომიტეტის წარმომადგენლისაგან, რომელთაც ენიჭებათ ვიცე-პრეზიდენტის სტატუსი.

არჩევნებში მონაწილეობის მიღება (პასიური უფლება) შეუძლია ყველა სტუდენტს. რაც შეეხება აქტიურ საარჩევნო უფლებას - ხმის მიცემის შესაძლებლობას, ამ სტუქტურაში არ გვაქვს პირდაპირი არჩევნების ფორმა. აღმასრულებელი საბჭოს და შესაბამისად კომიტეტების თავმჯდომარეების დაკომპლექტება ხდება ირიბი არჩევნების გზით, სადაც ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ სენატის წევრებს, რომლები თავის მხრივ, არიან უშუალოდ სკოლების თვითმმართველობის წარმომადგენლები.

კონსტიტუციაში გათვალისწინებულია ძირითადი აღმასრულებელი ორგანოს, აღმასრულებელი საბჭოს წევრის გადაყენების/გამოწვევის მექანიზმი, რისი განხორციელებისთვისაც საჭიროა ხმათა 2/3 და ესეც ე.წ. სუპერ ქვორუმის

პირობებში (სუპერ ქვორუმის დროს გადაწყვეტილების მიღების პროცედურაში მონაწილეობს მინიმუმ 24 ხმის უფლების მქონე პირი, წარმოდგენილია მინიმუმ 6 სკოლა და მინიმუმ 3 საბჭოს წევრი). აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების მიღების მსგავსი რთული პროცედურა მოქმედებს HGSგ-ის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში. HGSგ-ის ფინანსებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები გაწერილია მისსავე კონსტიტუციაში. ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი მოდის უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან, თუმცა აღსანიშნავია, რომ წესდებით გათვალისწინებულია შემოწირულობებისა და წევრების სავალდებულო მოსაკრებლებისგანაც შემოსავლის მიღება. თვითმმართველობა თავად განსაზღვრავს ბიუჯეტის საჭირო პარამეტრებს ორგანიზაციის შეუფერხებელი მუშაობის გაგრძელებისა და დასახული ამოცანების შესრულებისთვის. ამ განსაზღვრული მოთხოვნით იგი მიმართავს უნივერსიტეტის ცენტრალურ ადმინისტრაციას თანხის გამოყოფის მიზნით.

დასკვნა

სტუდენტური თვითმმართველობის ინსტიტუტზე, როგორც დემოკრატიულ, ეფექტურ და სტუდენტების მიმართ ანგარიშვალდებულ ორგანოზე საუბრისას აუცილებელია, რომ ის მნიშვნელოვანი ელემენტები, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუტის დემოკრატიულობასა და ეფექტურობას, პირდაპირ იყოს გათვალისწინებული ამა თუ იმ საკანონმდებლო რეგულაციაში. ხშირად, სკეპტიკურად განწყობილი ადამიანები აპელირებენ, რომ ინსტიტუტის წარმატებით ფუნქციონირება დამოკიდებულია მხოლოდ ჩვეულებასა და ტრადიციებზე და საკანონმდებლო ჩარევა პრობლემის მოგვარების არაეფექტური გზა შეიძლება იყოს.

ამ პოზიციის საპირისპიროდ, ჩვენ ვნახეთ, რომ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებსა და უნივერსიტეტებში არსებობს საქართველოსგან მნიშვნელოვნად განსხვავებული მოდელები. ძირითადი განსხვავებები კი მდგომარეობს შემდეგში:

- განხილულ ქვეყნების უმრავლესობაში არსებობს სტუდენტური გაერთიანებები ეროვნულ დონეზე, რომელიც მოიცავს ქვეყნის ყველა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს.
- ეროვნული გაერთიანება ადგენს რეგულაციებს საუნივერსიტეტო გაერთიანებებისათვის და სახელმწიფოები აღნიშნულ საქმიანობაში მინიმალური დოზით ერევიან (ან საერთოდ უარს ამბობენ ჩარევაზე).
- სტუდენტური გაერთიანებების ფინანსური მხარდამჭერები არიან თავად სტუდენტები, რომელთა სწავლის გადასახადის ნაწილი პირადაპირ მიდის სტუდენტურ გაერთიანებათა ბიუჯეტში.
- ბიუჯეტის ხარჯვა კონტროლდება დამოუკიდებელი პირების მიერ, წინასწარ დადგენილი, მკაფიო მექანიზმით. დახარჯული თანხის შესახებ ინფორმაცია, ყველა დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად არის საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.
- არსებობს სტუდენტური გაერთიანების ხელმძღვანელების იმპიჩმენტის მკაფიო პროცედურა, რომლის განხორციელების უფლება აქვთ სტუდენტების გარკვეულ რაოდენობას.
- ხშირ შემთხვევაში, გაერთიანებები ხელს უწყობენ სტუდენტთა კლუბების დაფუძნებას, ეს შედის მათ ვალდებულებებში.
- ხშირ შემთხვევაში, სტუდენტებს არ აქვთ უფლებამოსილება მიიღონ პირდაპირი მონაწილეობა უნივერსიტეტის მართვის პროცესში. მათ მოსაზრებებს აქვთ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი.

გამოყენებული მასალა

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მ.43,45. ხელმისაწვდომია:https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=32830, (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014).
2. მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგი QS. ხელმისაწვდომია: <http://www.timeshighereducation.co.uk/world-university-rankings/2014-15/world-ranking>. (ბოლოს შემოწმებულია:21.10.2014).
3. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური კანონი ხელმისაწვდომია:<http://www.law.cornell.edu/uscode/text/20>, (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)
4. USA constitution 2013 <https://docs.google.com/a/iml-lab.com/file/d/0B0C-fLE7XDOD0YWxwd3YtRFNiUjg/edit?pli=1>
5. დიდი ბრიტანეთის 1994 წლის „განათლების შესახებ აქტი“. ¹ ხელმისაწვდომია:<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1994/30/contents/enacted> (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014).
6. კანადის პროვინციათა აქტი უნივერსიტეტის შესახებ. ხელმისაწვდომია:<https://www.canlii.org/en/ca/laws/#search/type=legislation&jId=ca> (ბოლოს შემოწმებულია:21.10.2014)
7. ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტის აქტი ხელმისაწვდომია:<http://www.studentunion.ca/cfs-documents/cfs-governing-documents/> (ბოლოს შემოწმებულია:21.10.2014)
8. შვეიცარიულ სტუდენტთა გაერთიანების წესდება, 2014 წელი. ხელმისაწვდომია: <http://www.vss-unes.ch>, (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)
9. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი ხელმისაწვდომია: <http://www.admin.ch/ch/e/rs/2/220.en.pdf> (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014).
10. გერმანიის უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ხელმისაწვდომია: http://www.gesetze-im-internet.de/hrg/_41.html (ბოლოს შემოწმებულია:21.10.2014)
11. მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის სტუდენტური გაერთიანების კონსტიტუცია ხელმისაწვდომია: <http://web.mit.edu/ua/governing-docs/constitution.pdf> (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)
12. სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტური გაერთიანების კონსტიტუცია ხელმისაწვდომია:http://web.stanford.edu/group/ko/temp/gov_docs/Working_C99.pdf (ბოლოს შემოწმებულია:21.10.2014).

13. კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტური გაერთიანების კონსტიტუცია- ხელმისაწვდომია:<https://www.cusu.cam.ac.uk/union/structure/> ბოლოს შემოწმებულია (21.10.2014)
14. შვეიცარიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ციურხის სტუდენტთა გაერთიანების წესდება ხელმისაწვდომია: <https://www.vseth.ethz.ch/vseth/rechtssammlung> (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)
15. ტორონტოს უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანების პოლიტიკის დოკუმენტი Policy Manual-http://utsu.ca/wp-content/uploads/2013/12/-UTSU_Policy_Manual.pdf
16. ტორონტოს უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანების ვებ-გვერდი <http://utsu.ca/who-we-are/> (ბოლოს შემოწმებულია:21.10.2014)
17. კალიფორნიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანების კონსტიტუცია ხელმისაწვდომია: <http://gsc.caltech.edu/wp-content/uploads/2014/06/Statutes-as-of-2013-06-27.pdf> (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014).
18. ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანების წესდება- ხელმისაწვდომია:https://www.ibi.hu-berlin.de/studium/fachschaft/hochschulpolitik/index_html(ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)
19. ბერლინის კანონი უნივერსიტეტების შესახებ- ხელმისაწვდომია:<http://gesetz.e.berlin.de/default.aspx?vpath=bibdata%2fges%2fBlnHG%2fcont%2fBlnHG.P18.htm> (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)
20. ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანების კონსტიტუცია და წესდება ხელმისაწვდომია: <http://hgc.harvard.edu/legal/> (ბოლოს შემოწმებულია: 21.10.2014)



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge